

სწავლა-სწავლების პროცესში უკეთესი შედეგისთვის

ავტორი [ნესტან მიქაძე](#)

ამ სტატიაში ვისაუბრებ იმის შესახებ, როგორ უნდა მოახერხოს მასწავლებელმა სასწავლო პროცესში პიროვნების სამი ტიპის გათვალისწინება. რა მეთოდები და სტრატეგიები უნდა გამოიყენოს აღქმის სხვადასხვა ტიპის მოსწავლესთან და რა არის მნიშვნელოვანი მათი ინტერესის გასაღვივებლად.

ზოგადად, აღქმის სხვადასხვა ტიპის მოსწავლესთან ინფორმაციის გადაცემა სასურველია გასხვავებული საკომუნიკაციო ფორმით. თანამედროვე ტექნოლოგიები უამრავ საშუალებას გვთავაზობს ამ მიზნის მისაღწევად.

ჩვენი სამყარო მეტწილად ვიზუალურად აღიქმება. მესამე ათასწლეულში საზოგადოება და მეცნიერება განვითარების ახალ საფეხურზე გადავიდა და ისევ სწრაფად მიიწევს წინ. შეიცვალა სამყარო და ინფორმაციული ველი. შესაბამისად, ხდება მეცნიერების ახალ მეთოდოლოგიებზე გადაწყობა.

ეს პროცესი დააჩქარა იმ რეალობამ, რომლის წინაშეც პანდემიამ სამყარო და ადამიანი დააყენა. დისტანციური სწავლების დროს კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს ინფორმაციისა და დასასწავლი საკითხების სხვადასხვა საშუალებითა და ფორმით გადაცემა.

როგორც ცნობილია, ადამიანი ინფორმაციას იღებს შეგრძნების 5 ძირითადი გზით. ესენია – მხედველობა, სმენა, შეხება, გემოვნება, ყნოსვა. ინფორმაციის მიღების პირველი სამი არხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ამ სამიდან კი რომელიმე ერთი ადამიანს ყველაზე მეტად აქვს განვითარებული. ფსიქოლოგები ადამიანებს ყოფენ – აუდიალურად, კინესთეტიკურად და ვიზუალურად. ვიზუალები – „ხედავენ“; აუდიალურად – „ესმით“; კინესთეტიკები – „გრძნობენ“.

ყველა შემთხვევაში ენა უნივერსალურია. მეტყველების დიაგნოსტიკებით შესაძლებელია დავადგინოთ, აღქმისა და აზროვნების რომელ ტიპს განეკუთვნება ადამიანი. ყველაფერი მაინც ენით და ენაში გამოიხატება. წარმოიდგინეთ, რომ ენა არის მასალა, რომლისგანაც „ხატავ“, ქმნი მუსიკას და მოქმედებ შეგრძნებებზე...

მსმენელები შეიძლება იყვნენ განსხვავებული აღქმის, აზროვნებისა და შემეცნების ადამიანები.

მასწავლებლის მეტყველება, სწავლების მეთოდები და სტრატეგიები ყოველთვის უნდა იყოს გათვლილი ყველა კატეგორიაზე, რათა მოსწავლეს გაუხსნას აზროვნების ყველა არხი. მოზარდებს უნდა ესმოდეთ საკუთარი თავისა და ერთმანეთის. ასეთი მიდგომებით სწორად ამოირჩევენ მომავალ პროფესიას. განსხვავებული პროფესიები ხომ განსხვავებულ უნარებს მოითხოვს.

როგორ ამოვიცნოთ მოსწავლეთა ტიპები აღქმის მიხედვით?

ვიზუალი ამბობს:

- „ვხედავ საითაც მიგყავს საქმე“;
- „პერსპექტივას ვერ ვხედავ“;
- „შეხედე ერთი ამას!“.

ამბავს გადმოსცემს სიტყვებით. ნახატები, ხატოვანი აღწერა, ფოტოგრაფია უფრო მნიშვნელოვანია აღქმის ამ ტიპისთვის, ვიდრე სიტყვები. ისინი უცერად ამჩნევენ იმას, რის დანახვაც შესაძლებელია: ფერი, ფორმა, ხაზი, ჰარმონია და უწესრიგობა.

ვიზუალი მსმენელები, როგორც წესი, კარგად გრძობენ თავს თანამედროვე საკლასო გარემოში. ბოლოს და ბოლოს, ამდენი რესურსია ვიზუალისთვის – დაფები, პლაკატები, ელექტრონული რესურსები და ა.შ. ამ მოსწავლეებს აქვთ მრავალი ძლიერი მხარე, რაც ხელს შეუწყობს სკოლაში მათ მიღწევებს.

ვიზუალები, როგორც წესი, უმრავლესობაში არიან. მათ უადვილდებათ ახალი ინფორმაციის ვიზუალურად – სურათებით, დიაგრამებით, ცხრილებით – მიღება. მათ ურჩევნიათ სასწავლო მასალას ხედავდნენ, ვიდრე ისმენდნენ ან რაიმეს აკეთებდნენ. საკლასო გარემოში მათთვის ყველაზე ეფექტური ვიზუალური მასალების გამოყენებაა.

აუდიალი ამბობს:

„ძალიან ხმამაღალი განცხადებაა თქვენი მხრიდან“;

„შენი კარგად არ მესმის“;

„შენმატკბილებული მოდიოდნენ“.

აუდიალისთვის – მთავარია რიტმი, ჰარმონიულობა, ჟღერადობა. ამ ტიპისთვის მნიშვნელოვანია ყველაფერი, რაც აკუსტიკურია: ხმა, სიტყვა, მუსიკა, ხმაურის ეფექტები.

აუდიალური სტილის ადამიანებს ურჩევნიათ, მასალა მოისმინონ. ისინი უკეთ იმახსოვრებენ საუბარს, დისკუსიას, დიალოგებს. ასეთი ადამიანებისათვის ყველაზე ეფექტური სწავლის პროცესში ლექციების მოსმენა, დისკუსიებსა და სემინარებში მონაწილეობაა.

ასეთი მოსწავლეები, საბავშვო ბაღიდან დაწყებული სკოლის დასრულებამდე, სასწავლო პროცესში ყველაზე მეტად ჩართული იქნებიან, თუ პროცესი მათ საჭიროებებზე იქნება მორგებული.

კინესთეტიკი ამბობს:

„თბილი ურთიერთობები მაქვს“;

„ვერაფერს ვხედავ ხელჩასაჭიდს“.

ამბავს გადმოსცემს ემოციებით. მისთვის მთავარი შეგრძნებებია. დიალოგისას კინესთეტიკებს აინტერესებთ ადამიანის შინაგანი შეგრძნებები. კინესთეტიკური სტილის ადამიანებს უადვილდებათ სწავლა, როდესაც რაიმეს აკეთებენ, ჭრიან, აგებენ, აწყობენ ან ასრულებენ როლებს. მათ ურჩევნიათ ინფორმაცია გადაამუშაონ მოძრაობითა და დემონსტრირებით. ასეთი ადამიანები საკლასო გარემოში ყველაზე ადვილად მაშინ სწავლობენ, როდესაც ისინი ფიზიკურად აქტიური არიან.

კინესთეტიკებს მრავალი ძლიერი მხარე აქვთ, რაც მათ წარმატების მიღწევაში დაეხმარება: თავლის კარგი კოორდინაცია; სწრაფი რეაქციები; შესანიშნავი საავტომობილო მეხსიერება; წარმატებული არიან სპორტში, ხელოვნებასა და როლურ თამაშებში; არიან ენერგიული.

ძნელია, ყველა მოსწავლეს თავისთვის სასურველი არხით მივაწოდოთ ინფორმაცია, თუმცა მასწავლებელმა სწავლის პროცესი ისე უნდა დაგეგმოს, რომ სასწავლო მასალა ყველასათვის ადვილად აღქმადი იყოს.

რეკომენდებულია სწავლების მრავალფეროვანი, კომბინირებული მეთოდების გამოყენება, რაც ყველა მოსწავლეს მეტ-ნაკლებად აქტიურს გახდის – საინტერესო ვიზუალური მასალების გამოყენება,

მულტიმედია, გასაგები და საინტერესო არგუმენტები; მოსწავლის ჩართვა დისკუსიაში; დემონსტრირებისა და სიმულაციების გამოყენება, ექსპერიმენტები, როლური თამაშები და ა.შ.

დაწყებით კლასში მოსწავლეთა უმრავლესობას ყველა არხი თითქმის სათანადო დონეზე აქვს განვითარებული, აქვს ნორმალური ვიზუალური, აუდიალური და კინესთეტიკური შესაძლებლობები. მხოლოდ კინესთეტიკები საჭიროებენ მასწავლებლის ნათქვამის „თავიანთ ენაზე“ თარგმნას. ამიტომაც მეტი დრო სჭირდებათ, ვიდრე დანარჩენებს. ხშირად ასეთი ბავშვები უყურადღებობის გამო საყვედურს იღებენ, თუმცა ეს მათი ბრალი სულაც არ არის.

კინესთეტიკები ვერ ასწრებენ სკოლის პროგრამასთან თანხვედრაში მუშაობას და ამიტომაც მათი უმრავლესობა უმცირესობაში ხვდება. დაწყებით საფეხურზე სწავლა ძირითადად უკავშირდება კეთებას. ამიტომ, კინესთეტიკები ნაკლებად იჩაგრებიან. შუა კლასებში სწავლება აუდიალური ხდება და აქედან იწყება პრობლემები მათთვის, ვინც ვერ ახერხებს სწავლების ამ ფორმაზე გადართვას. ზედა კლასებში სწავლება უმეტესად ვიზუალური ხდება, ამიტომ, აუდილები და კინესთეტიკები კიდევ უფრო ჩამორჩებიან და ფავორიტები ვიზუალები ხდებიან.

მასწავლებლის სამუშაოს დიდი ნაწილი იხარჯება მთელ კლასზე და ახალი შინაარსის გადაცემაზე; მხოლოდ მცირე დრო – ინდივიდუალურ სწავლებაზე. ჩამორჩენილ მოსწავლეებთან მუშაობას ყოველთვის არ მოაქვს შედეგი, რადგან ინდივიდუალური მიდგომისთვის მასწავლებელს ბევრი დრო არ რჩება.

აღნიშნული საკითხის ცოდნა ერთობ მნიშვნელოვანია მასწავლებლისთვის, რადგან სწავლებაც და აღზრდაც ადამიანთა შორის ურთიერთქმედების შედეგია. მასწავლებელსაც და მოსწავლესაც აქვთ ალქმის საკუთარი ხერხები. იმისთვის, რომ ინფორმაციამ გადამცემიდან მიმღებში შეაღწიოს, არხები სათანადოდ გამტარი უნდა იყოს.

ეს არხები სხვადასხვა ადამიანში სხვადასხვაგვარი გამტარობით ხასიათდება.

ვიზუალი მასწავლებელი:

ლაპარაკობს სწრაფად;

ხშირად ხმარობს ვიზუალურ ნიშნებს, დაფას;

დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ფორმებს;

ცდილობს მოიცვას დიდი მოცულობის მასალა;

არ კარგავს მოსწავლეებთან უკუკავშირს.

აუდიალი მასწავლებელი:

ლაპარაკობს რიტმულად;

უყვარს კლასში დისკუსია;

მის გაკვეთილებზე მოსწავლეები ხშირად კითხულობენ;

იმეორებს მოსწავლეთა კომენტარებს;

უყვარს ჭკუის სწავლება, რომელსაც იწყებს სიტყვით: „რამდენჯერ...“.

კინესთეტიკი

ლაპარაკობს ნელა;

რთავს მოსწავლეებს პროექტებში, თამაშებში, სცენარებში;

დიდ მნიშვნელობას ანიჭებს შინაარსს;

მოსწავლეთა შეფასების დროს ორიენტირებულია იმაზე, რის გაკეთება შეუძლია მოსწავლეს.

ვიზუალი მოსწავლე:

დისციპლინირებული და ორგანიზებულია;

წყნარი და დაკვირვებულია;

ორიენტირებულია გარეგნულ ნიშნებზე;

აღვილად იმახსოვრებს თვალსაჩინოებებს;

ძნელად ითვსებს სიტყვიერ ინსტრუქციებს;

კარგი მთხრობელია;

აქვს ფანტაზიის უნარი;

საუბრის დროს ნიკაპი ზემოთ აქვს აწეული;

აქვს მაღალი ხმა;

კარგად ახსოვს ის, რაც დაინახა.

აუდიალი მოსწავლე:

ლაპარაკობს საკუთარ თავთან;

იოლად ეფანტება ყურადღება;

მოსმენილს იოლად იმახსოვრებს;

უპირატესობას ანიჭებს ანგარიშს და წერას;

იოლად ითვსებს უცხო ენებს;

უყვარს მუსიკა;

სწავლობს მოსმენით;

ლაპარაკობს რიტმულად;

უყვარს დისკუსიაში ჩართვა;

მნიშვნელობას ანიჭებს ხმის ინტონაციას.

კინესთეტიკი მოსწავლე:

ბევრს მოძრაობს;

უყვარს ახლოს დგომა;
ახასიათებს მრავალფეროვანი ფიზიკური რეაქციები;
სწავლობს კეთების პროცესში;
იმახსოვრებს სეირნობის დროს;
ტექტიანი და ლაკონიურია;
კითხვის დროს თითს აყოლებს ნაწერს;
უყვარს წიგნები, ორიენტირებულია სიუჟეტზე;
ახსოვს ზოგადი შთაბეჭდილებები;
დეტალებში სუსტია.

ვიზუალთან მუშაობა:

სიტყვიერი ლექციები გაამდიდრეთ დიაგრამებით, სიმბოლოებით, ფერადი პრეზენტაციებით ან სხვა ვიზუალური რესურსებით;
მიეცით წერილობითი მითითებები და განმარტებები;
მიეცით მოსწავლეს კლასში განმარტებით კითხვის დრო;
გაამრავალფეროვნეთ სასწავლო პროცესი სასწავლო მეთოდებითა (ლექციები, ჯგუფური მუშაობა, ინდივიდუალური, წყვილები, წრეები) და დავალებებით, ამ დროს ყველა ტიპის ყველა მოსწავლე ჩართულია;
ვიზუალურად აჩვენეთ თქვენს მოსწავლეებს, როგორ უნდა შეასრულონ დავალება;
აჩვენეთ და დაავალეთ შექმნან ბარათები;
დავალებები მოთხოვეთ წერილობით.

აუდიალთან მუშაობა:

აუდიალთან მუშაობისას გამოიყენეთ წარმართეთ დისკუსიები და წაახალისეთ კლასის ჩართულობა;
ლექციების დროს სთხოვეთ ასეთ მსმენელს, ჩამოაყალიბოს იდეები საკუთარი სიტყვებით;
სასურველია, გავაკეთოთ ჩანაწერები, რათა აუდიალმა მას რამდენჯერმე მოუსმინოს;
ასეთ მოსწავლეებს მიუთითეთ დასასწავლი მასალის აუდიოჩანაწერების ბმულები;
ნება დართეთ გამოკითხვა ან გამოცდა ჩააბარონ ზეპირად და არა წერილობით;
გაკვეთილის გეგმებში გაითვალისწინეთ – წყვილების კითხვა, ჯგუფური მუშაობა, ექსპერიმენტები, პროექტები და წარდგენები.

კინესტატიკთან მუშაობა:

მიეცით კინესტატიკ მოსწავლეს გაკვეთილზე ოდნავი გადაადგილების საშუალება;

შესთავაზეთ სწავლების სხვადასხვა მეთოდი – ლექციები, დაწყვილებული საკითხავები, ჯგუფური მუშაობა, ექსპერიმენტები, პროექტები, პიესები და ა.შ.;

სთხოვეთ თქვენს კინესთეტიკ მსმენელს, შეასრულოს შესაბამისი დავალებები ლექციის დროს, როგორცაა სამუშაო ფურცლის შევსება ან ჩანაწერების გაკეთება;

სთხოვეთ კინესთეტიკ მოსწავლეს ლექციებამდე და ლექციების შემდეგ, შეასრულოს ისეთი დავალებები, რომლებიც საჭიროებს მოძრაობას, ფურცლების თუ სხვა საჭირო ნივთების დარიგებას, დაფაზე წერას ან მერხების გადაწყობასაც კი;

საჭიროების შემთხვევაში გაკვეთილის დროს მოსწავლეს შეასრულებინეთ მსუბუქი ვარჯიშები;

ასეთ მოსწავლეს ჩაუტარეთ მოკლე ლექციები;

შესთავაზეთ სწავლების სხვადასხვა მეთოდი – ლექციები, დაწყვილებული საკითხავები, ჯგუფური სამუშაოები, ექსპერიმენტები, პროექტები, სპექტაკლები და ა.შ.

ჩართეთ კინესთეტიკური აქტივობები ლექციის დროს;

გამოიყენეთ ბარათები, კომპიუტერული საქმიანობა, კამათლები, დომინო, ყალბი ფული და მონეტები ერთეულების გამოსათვლელად;

გამოიყენეთ ყველაფერი, რაც მათემატიკის აბსტრაქტულ ცნებებს გარდაქმნის მათემატიკის კონკრეტულ აქტივობებად;

ჩაერთეთ სტუდენტებთან სავარჯიშო სამუშაოების შესრულებაში, გაკვეთილის სპეციფიკიდან გამომდინარე.

დასკვნის სახით – მასწავლებელმა:

უნდა იცოდეს აღქმის ტიპების მიხედვით, როგორია თითოეული მოსწავლე – ვიზუალი, აუდიალი თუ კინესთეტიკი;

მნიშვნელოვანია მოსწავლეთა ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის უნარების განვითარებაზე ზრუნვა;

ერთი გაკვეთილის განმავლობაში საჭიროა რამდენიმე სხვადასხვა აქტივობა, რათა გაითვალისწინოთ ყველა მოსწავლის სწავლის სტილი;

მოზარდებს უნდა განუვითაროთ არგუმენტირებული მსჯელობის უნარი. მოსწავლეებს უნდა ვასწავლოთ დამაჯერებლად საუბარი. ამ მიზნით სასურველია პრეზენტაციების მომზადება და ფერადი, სხვადასხვა ტიპის თვალსაჩინოების გამოყენება;

ძალიან მნიშვნელოვანია მარკირებული კითხვის მეთოდი. ტექსტის ანალიზი, კომენტარები, დისკუსიები;

ცხრილების, დიაგრამების, გრაფიკების აგება და უკვე აგებულის შინაარსის გაგება, გამოყენება, ანალიზი მოსწავლეს სააზროვნო არხების განვითარებაში დაეხმარება;

ჩაატარებინეთ მოსწავლეს სადემონსტრაციო მარტივი ცდები; გააკეთებინეთ ვირტუალური ანიმაციები და ექსპერიმენტები; სასწავლო კვლევითი პროექტები, თუნდაც მარტივი ექსპერიმენტები, რის გაკეთებასაც მოზარდი დამოუკიდებლად შეძლებს;

უნდა ვასწავლოთ ერთ კონტექსტში ნასწავლის მეორეში გამოყენება (ცოდნის ტრანსფერი);

ხელი შევუწყოთ მოზარდს თავის თავში უფრო ღრმად განმარტოს მოცემული მოვლენა თუ საკითხი; დავეხმაროთ წარმოსახვის უნარის განვითარებაში; წავახალისოთ მოსწავლეთა კრეატიული აზროვნება.

მასწავლებლის ძალისხმევას შედეგი ექნება, თუმცა ეს ვერ იქნება საკმარისი. ყველაზე მნიშვნელოვანია სახელმძღვანელოები, სასწავლო პროგრამები და ის მოთხოვნები, რომლებიც განათლების რეფორმების ავტორებმა უნდა გაითვალისწინონ და პედაგოგებამდე მიიტანონ. უნდა ვიცოდეთ, ვის ვასწავლით და რა მეთოდები და სტრატეგიები გაგვიყვანს შედეგზე. ჩვენი შრომის პროდუქტი ხომ მოსწავლეა და ფუჭია ყველა ძალისხმევა, რომლებსაც ამ მიზნამდე ვერ მივყავართ.

დასასრულ, მინდა შევეხო ახალი სკოლის მოდელს და მისი მიდგომებით მუშაობას. ვფიქრობ, ამ სტატიაში განხილული პრობლემების მოგვარება ნაწილობრივ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობით მოხერხდება. შესაძლებელია, მოსწავლემ ვერ შეძლოს კომპლექსური დავალების ყველა ნაწილის თანაბრად დაძლევა, თუმცა ყველა მოსწავლე სამუშაოს იმ ნაწილს შეასრულებს უკეთ, რომელ ნაწილზე განკუთვნილია მისთვის შესაფერისი ტიპისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

„მასწავლებლის წიგნი – გამჭოლი კომპეტენციები – სემიოტიკური წიგნიერება“ – ცირა ბარბაქაძე;

„სარკმელი მოსწავლის სამყაროში“- მარინე ჯაფარიძე;

<https://www.thoughtco.com/visual-learning-style-3212062;>

<https://www.thoughtco.com/auditory-learning-style-p3-3212038;>

[https://www.thoughtco.com/the-kinesthetic-learning-style-3212046.](https://www.thoughtco.com/the-kinesthetic-learning-style-3212046)